განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ბუდაპეშტის I შესახვევის №6 და №8-ში. (მიწის ნაკვეთის №005.055) არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ღეკონსტრუქციის მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებლის ანგარიში

საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ბუდაპეშტის I შესახვევის №8-ში. მიწის ნაკვეთის ფართობია 953.0 კვ.მ. საკადასტრო კოდია 01.10.14.005.055. საპროექტო მიწის ნაკვეთი, ქ. თბილისის გენ-გეგმის ფუნქციური ზონირების რუკის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელი ზონა 6-ში (სზ-6), რომლის ქალაქტმშენებლობითი პარამეტრებია კ1=0.5 და კ2=2.5.

ქ. თბილისის მერიის, 2014 წლის 18 თებერვლის №325 განკარგულებით, გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის თაობაზე, რომლის მიხედვით განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა კ2=4.1-ით.

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

L / K2X(K2'-K2)XS

სადაც:

L - მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი 1 მ^2

K2' - მიწის ნაკვეთისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მინიჭებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი

K2 - მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი

S - მიწის ნაკვეთის ფართობი.

აქედან გამომდინარე, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელი იქნება:

255 ლარი / 2.5X(4.1-3.7)X953მ^2=38882.4 ლარი

ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ბუდაპეშტის I შესახვევის №6 და №8-ში. (მიწის ნაკვეთის №005.055) მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ღეკონსტრუქციის მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებლის გადახდის გრაფიკი

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებლი შეადგენს 38882.4 ლარს

I	მაისი 2014 წ.	3240.2 ლარი
II	ივნისი 2014 წ.	3240.2 ლარი
III	ივლისი 2014 წ.	3240.2 ლარი
IV	აგვისტო 2014 წ.	3240.2 ლარი
V	სექტემბერი 2014 წ.	3240.2 ლარი
VI	ოქტომბერი 2014 წ.	3240.2 ლარი
VII	ნოემბერი 2014 წ.	3240.2 ლარი
VIII	დეკემბერი 2014 წ.	3240.2 ლარი
IX	იანვარი 2014 წ.	3240.2 ლარი
X	თებერვალი 2015 წ.	3240.2 ლარი
XI	მარტი 2015 წ.	3240.2 ლარი
XII	აპრილი 2015 წ.	3240.2 ლარი

შპს "Unix Construction and Development Group"-ის

დირექტორი: გ. მუსაშვილი

ქალაქ თბილისის მერია

განკარგულება № 325

" 18 თებერვალი 2014 წ.

ქ.თბილისში, ბუდაპეშტის I შესახვევის №№6–8–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2014 წლის 13 თებერვლის №6 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, ბუდაპეშტის I შესახვევის №№6–8–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=4,1.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებელისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი“. ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში:GE42LB0125152101627857.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში